



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-52/ნ

3 ნოემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 68-ე ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანდართული ფორმა“.
2. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით მიეკუთვნება მკაცრის აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----- მუხლის ----- ნაწილით -----

5. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები: -----

6. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: -----

სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით.

7. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

8. ოქმის შემდგენელი: /-----/
(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

9. სამართალდამრღვევი: /-----/
(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

10. მოწმეები და დაზარალებულები (თუ არიან):

(სახელი და გვარი) (მისამართი) (ხელმოწერა)

(სახელი და გვარი) (მისამართი) (ხელმოწერა)

11. სათანადო ჩანაწერი იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე: -----

დამკვეთი: სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტზე:

წარმოდგენილი ბრძანების პროექტით მტკიცდება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, რომლითაც სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ევალება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^ნ მუხლის (მუხლი 172^ნ. ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა) შესაბამისად, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, რომელიც ეხება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას. აღნიშნული სამართალდარღვევა გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, ხოლო შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

პროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.